ISBN: 978-9941-13-010-6
A4, 593 გვერდი
ფასი: 6 ლარი

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავისი ახალი გამოცემა „ქართული სამოციქულო სიმფონია-ლექსიკონი“ (შეადგინეს ლელი ბარამიძემ, რუბენ ენუქაშვილმა და თეიმურაზ მეტრეველმა) აკაკი შანიძის 120 წლის იუბილეს მიუძღვნა. და ეს არ არის შემთხვევითი, რადგან სიმფონიის და სიმფონია ლექსიკონის მეცნიერულად შედგენა-გამოცემას ჩვენში სწორედ აკაკი შანიძემ ჩაუყარა საფუძველი.

„ქართული სამოციქულო სიმფონია-ლექსიკონი“ პირდაპირი გაგრძელებაა „ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონისა“ არა მარტო შედგენის პრინციპით, არამედ იმითაც, რომ ორივე ნაშრომი ახალი აღთქმის წიგნთა ქართული რედაქციების ტექსტებს ემყარება, კერძოდ, სამოციქულოს 23 წიგნისას (7 კათოლიკე ეპისტოლე, 14 პავლეს ეპისტოლე, მოციქულთა საქმე და იოანეს გამოცხადება). წიგნის წინასიტყვაობაშია აღნიშნულია:“ ... სიმფონია-ლექსიკონი მასალობრივად სრულია და თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ინფორმაციას ახალი აღთქმის დიდი ნაწილის ქართულ რედაქციათა ლექსიკურ და გრამატიკულ მრავალფეროვნებაზე... ამ წიგნის გამოცემის შემდეგ ჩვენ ხელთ გვექნება არსებითად მთელი ახალი აღთქმის ქართულ რედაქციათა სიმფონია ლექსიკონი, რომლის მნიშვნელობა ბიბლიოგრაფიისა და ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხების კვლევისათვის შეუძლებელია გადაჭარბებით შეფასდეს.“